№ 244
პარასკევი, 12 ნოემბერი, 1899 წ.

გაზეთის ფასი:

თვე	მან. კ.	თვე	მან. კ.
12	10 —	6	6 —
11	9 50	5	5 50
10	8 75	4	4 75
9	8 —	3	3 50
8	7 25	2	2 75
7	6 50	1	1 50

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის“ ტელეფონი № 227

1877—1899

ივერია

№ 244
პარასკევი, 12 ნოემბერი, 1899 წ.

რედაქცია:
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.

გაზეთის დასაგზავნად
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვ.
გამავრც. საზოგადოების კანცელარიას

ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ
16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

იყიდება
წერა-კითხვის საზოგადოების მაღაზიასა და „ივერიის“ რედაქციაში
„სომეხთა მეცნიერნი
და
ქალთა ღაღადი“,
წერილი ილია ჭავჭავაძისა, მეორედ გამოცემული „ივერიის“ რედაქციის მიერ, რადგან პირველი გამოცემა სრულიად გაიყიდა.
ეს გამოცემა ძვირფასს ქაღალდზეა დაბეჭდილი. ჰღირს წიგნი ექვს შაურად.

ქ. ქუთაისში
ექიმი გაბრ. იოს.
გოკიელოვი
იღებს ავადმყოფებს დილ. 9—12 ს., საღამ. 5—7 საათ.
ტფილისის ქუჩა, ლევან ქურთოშვილის სახლი, № 20.
(40—140—20)

ტფილისის კერძო სამკურნალო
მკურნალის
მიხეილ გედევანიშვილისა
ავადმყოფებს იღებენ ყოველდღე
კვირა დღეების გარდა
დილით:

ვ. ი. ჭიჭინაძე.—კბილის სნეულებანი. 8—10 საათ.

გ. გ. მაღალაშვილი—შინაგანი—9—10 საათ.

დ. კ. ერისთავი—სადოსტაქრო (საქირურგიო). 10—12 საათ.

ნ. ტ. მულინი—ყურისა, ყელისა და ცხვირისა—$10^{1}/_{2}$—12 საათ. (ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით).

ა. ნ. შატილოვი—თვალისა 12—1 საათ.

იაგ. ქ. ადამიანი—შინაგანი (სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით)—12—1 საათ.

ნ. ზ. უმიკოვი.—ბავშვებისა (ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით)—12—1 საათ.

ვ. ლ. მარკევიჩი—$12^{1}/_{2}$—$1^{1}/_{2}$ სადოსტაქრო.

ი. დ. ბაგთაბეგოვი—სიფილისისა, კანისა და საშარდესი—$1^{1}/_{2}$—2 საათ.

მ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით—1—2 საათ.

კ. ი. გძელიშვილი—ყურისა, ყელისა და ცხვირისა—2—3 საათ. (სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით).

საღამოთი:

დ. ა. გედევანიშვილი—შინაგანი და ბავშვებისა—5—6 საათ.

ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი—5—6 საათ.

ს. ი. ვაწაძე.—შინაგანი და მასაჟი—6—7 საათ.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები და კაბინეტი ბაქტერიოლოგიურ და მიკროსკოპიულ გამოკვლევათათვის.

ფასი რჩევა-დარიგებისა 50 კაპ., დანარჩენი—მორიგებით.

კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21 (ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ).

დირექტორი სამკურნალოსი მ. ა. გედევანიშვილი

პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათ. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

უ. მ. ჩიქოვანი. 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ზ. ი. ბაბანასიანცი—დილის 11—12 ს. ქალთა სენით ავადმყოფებს.

ი. ფ. პროტასევიჩი. 12—1 ს. ყურისა, ყელისა, ცხვირისა და გულის ავადმყოფობისა.

ა. პ. კარაპეტიანცი 1—$1^{1}/_{2}$ საათ. შინაგანი და ბავშვებისა.

ა. ბ. გურკო. $1^{1}/_{2}$—2 ს. შინაგანი და საშარდეს ავადმყოფობის.

საღამოობით:

ი. ფ. პროტასევიჩი. 5—6 საათ.

ა. ნ. შპაკოვსკი. 6—7 საათ. ნერვებისა (ელექტროტერაპიისა) ვენერიულისა და კანის ავადმყოფობისა.

ბ. ა. ნავასარდიანი. 7—$7^{1}/_{2}$ საათ.

ტ. ი. რუდენკო—სამკურნალოში გამოიკვლევს ქიმიურად, მიკროსკოპიულად და ბაქტერიოლოგიურად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს ღ სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

ო. ტ. არვანიტაკი—გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს“, აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმების დანიშვნით. მიმართონ 11—1 საათამდე.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница ***Д-ра Навасардiана.***
Тифлисъ, противъ памятн. Воронцову.
(—1—წ).

ექიმი
კ. ს. გძელიშვილი
მიიღებს
ყელისა, ცხვირისა და ყურით
ავადმყოფებს.
დილ. 9—11 ს., საღამოზე 5—7 ს.
მიხეილის ქუჩა, ნემენცების ეკკლესიის პირდაპირ. **Михайловская, противъ кирки.**
(100—31—75)

მთავრობის განკარგულებანი

თელავის მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლი თავ. მაყაშვილი დათხოვნილ იქმნა სამსახურიდგან, მისისავე თხოვნის თანახმად, ავადმყოფობის გამო.

◆ ◆

ახალი ამბავი

⁂ საქართველოს საექსარხოსოს საარქეოლოგო საეკკლესიო მუზეუმს თავ. მ. ო. ხერხეულიძემ წარმოუგზავნა ქვები ბაგრატ მე-III-ის მეფობის დროინდელი ქართულ წარწერებით. მანვე წარადგინა მუზეუმში დიდი ქვის ემბაზი, რომლის წარწერა გადალეულია და ჯერ არ არის გარჩეული.

⁂ მთავარ-მართებლის კანცელარიამ ცნობები მოითხოვა ნაძალადევის ადგილების 120 მოიჯარადრის იმ თხოვნის გამო, რომ მათს მარწმუნებელთ საკუთრებად დაეთმოთ

ფელეტონი

მოგზაურობა წმ. ქალაქს იერუსალიმსა და წმ. ათონის მთაზედ.

(შემდეგი *)

5 ივნისი, შაბათი, მშობელთა მსოფლიო მოხსენება. ღამის 12 საათზედ დარეკეს, ვიწყეთ შუაღამის ლოცვანი ქრისტეს აღდგომის ეკკლესიაში, შემდეგ განვაგრძეთ ცისკარი, რომელზედაც შეაერთეს წირვა; ოთხნი თანამწირველნი ვიყავით, ერთი რუსის დეკანოზი, ერთი მე ქართველთაგანი, ორი ბერძენთა მღვდელ-მონაზონნი, მთავარ-ეპისკოპოზი კირილე ბერძენი იყო მწირველი უპირატესი.

წინა საღამოზედვე, უწინარეს მწუხრისა, შეიწვიეს მლოცველნი დარბაზში ბერძენთა მამათა და წინადადება მისცეს, დაეწერათ მათ თვისნი ცოცხალნი და მიცვალებულნი წირვაზედ მოსახსენებლად. ვინც წერა არ იცის, თვით ბერძენნი ჩასწერენ დავთარში მათ სახელებს მოსახსენებლად. ამ შრომისათვის მლოცველნი შესწირავენ ფულსა შეძლებისაებრ. ამ წირვაზედ შევნიშნე შემდეგი განსხვავებანი, არა ჩვეულებრივნი ჩვენთვის: დიდს გამოსვლაზედ, ან პატიოსანთა ძღვენთა გამოსვენების დროს (ბარძიმ-ფეშხუმითა), მოიხსენეს პირველად მართლ მადიდებელი რუსეთის იმპერატორი, მეუღლე მისი, დედა მისი და მემკვიდრე მისი, შემდეგ იერუსალიმის პატრიარქი და სხვანიცა მართლ-მადიდებელნი პატრიარქნი, სახელდობრივ, მერე წაიკითხა მწირველმა მთავარ-ეპისკოპოზმა განსახსნელი ლოცვა, რომელიც ჩვეულებრივ წაიკითხება ალმსარებელთა ზედა კურთხევანიდგან. „უფალო, ღმერთო ჩვენო, ძეო და სიტყვაო ღმრთისა ცხოველისაო, მწყემსო და კრაო“, და მოიხსენა სახელდობრ სიიდამ, რომელნიც ჩაწერილ იყვნენ. შემდეგ წაიკითხა ეგრეთვე მიცვალებულთა სახელები და მათთვისაცა წაიკითხა მთავარ-ეპისკოპოზმა რუსულს ენაზედ ლოცვა, რომელიც ჩვეულებრივ წარიკითხების მიცვალებულზედ ანდერძის შესრულების დროს. ამ გვარს წირვას უწოდებენ: „разрѣшительная литургія“, განმხსნელი წირვა. მშვიდობიანი კათაკმეველთათვის და შემდეგ მცირე კვერექსი სრულიად გამოსტოვეს, საღმრთოთა ძღვენთა კურთხევის ანუ განწმედის უწინარეს მთავარ-ეპისკოპოზსა დადებული ლოცვა რუსულსა და ქართულს კონდაკში არ წარმოსთქვა, და არცა არს იგი შეტანილი ახალს ბერძნულს კონდაკში: „უფალო, რომელმან ყოვლად წმიდა სული შენი ჟამსა მესამესა მოწაფეთა შენთა გარდამოუვლინე და განანათლენ იგინი, მას სახიერ ნუ მიიღებ ჩვენგან, არამედ განმიახლე მვედრებელთა შენთა“. ეგრეთვე ასამაღლებელზედ: „ვმადლობდეთ უფალსა“, ბერძენნი გალობენ მხოლოდ შემდეგ სიტყვებსა: „ღირსარს და მართალ“; ხოლო გაგრძელება ამ საგალობელისა გამოტევებულია ბერძნულს კონდაკში.

წირვის შესრულების შემდეგ ქრისტეს საფლავზედ, დიდი პანაშვიდი შევასრულეთ გოლგოთაზედ, მოსახსენებლად პირველ გარდაცვალებულთა მამათა და ძმათა, სარწმუნოებით სასოებით აღდგომისა აღსრულებულთა. ამ პანაშვიდში მიიღეს მონაწილეობა სამმა მღუდელმთავარმა, ექვსმა არქიმანდრიტმა, ოცამდე—იღუმენთა, ორმა დეკანოზმა, ერთმა ქართველმა და მეორე რუსმა, და მღუდელმონაზონთა. მთავარ-დიაკონი წარსდგებოდა თითოეულის ეპისკოპოზის და არქიმანდრიტის წინაშე და კურთხევანიდამ ჰგალობდნენ სძლისპირებს მუხლებითურთ, დილის ხუთს საათზედ გამოვედით ეკკლესიიდგან, ცისკრისა, წირვისა და პანაშვიდის შესრულების შემდეგ. ამ ღამისთევამ ქრისტეს აღდგომის ტაძარში, სადაც არს ქრისტეს მაცხოვრის ცხოველ-მოსილი საფლავი და გოლგოთაც—ქრისტეს ჯვარცმის ადგილი, დიდად იმოქმედა ჩემზედ, რადგანაც თვალით ვიხილე და ყურით მოვისმინე სარწმუნოებრივი გრძნობა რუსთა მდაბიო ერისა, ცხადად გამოჩენილი ამ ღამეს გოლგოთის წინაშე, სადაც ყოველნი დამსწრე მლოცავნი ერთგულად ისმენდნენ და ერთხმად ჰგალობდნენ მოხუცნი ჭაბუკთა თანა მამრნი და მდედრნი დაუჯდომელთა ვნებათა უფლისათა, ცხოველს მყოფელის საფლავისა და უფლისა აღდგომისასა ღვთისმშობლისა, ღ წმ. მღუდელმთავრის ნიკოლოზ საკვირველ მოქმედისასა, ღამის 8 საათიდგან შუაღამის 12 საათამდე.

6 ივნისს, კვირას, სულის წმიდის გარდამოსვლის დღესასწაულზედ ვიყავ თანამწირველად მისს უნეტარესობასთან პატრიარქთან; წირვა შესრულდა ქრისტე მაცხოვრის საფლავზედა, მისს უნეტარესობას მიეგებნენ შემოსვლაზედ ჯვარითა, სახარებითა და აღდგომის ღ დღესასწაულის ხატებითა; შემობრძანდა ეკკლესიაში იგი დიდის გამოჩენით. წინ მოუძღოდა დიდი ჯვარი დროშის სახედ, მას მოსდევდნენ კავასნი ყავარჯნებით, თავ დაბურული წითელის ფესებით, უკან შეუდგებოდნენ მთავარ-ეპისკოპოსნი; შეიმოსა წითელის ხავერდის მანტიით, შემოსვლისათანავე დავარდა და ამბორს უყო ლოდსა ნელსაცხებელისასა, რომელზედაც იოსებ და ნიკოდიმოსმა შემურეს ყოვლად უხრწნელი გვამი ქრისტესი და შემდეგ დასდვეს საფლავსა, რომელი გამოკვეთილ იყო მტილსა შინა იოსებისსა. ეკკლესიაში შემობრძანდა პატრიარქი დილის შვიდს საათზედ. თაყვანისცემის შემდეგ დიდს საკრებულო აღდგომის ტაძარში, დაჯდა იგი მარჯვენა მხარეს მაღალს დასაჯდომელზედა და წარსდგეთ მის წინაშე მეტანიით და მივიღეთ მისგან კურთხევა; და შემდეგ დაიწყეს ჩვეულებრივი შემოსვა პატრიარქისა, მკერდსა ეკიდა ორი პანაგია. თანამწირველად მისა იყვნენ ამა სამების დღესასწაულზედა ორი მთავარეპისკოპოზი, არქიმანდრიტი, ორი დეკანოზი, ერთი რუსი და მეორე ქართველი, სამიც მღუდელნი, მათ შორის ერთა არაბთაგანი და ორიც ბერძენი. მღუდელმთავარნი და არქიმანდრიტი უმიტროდ იყვნენ წირვაზედ, მხოლოდ იყვნენ თავდაპურულ ბარტყულებითა. სხვა ბერძენთა სამღვდელოებას ჩვეულებრივ თავზედ ჰხურავს შავი კამილავკები. სახარება და სამოციქულო წაიკითხეს ამ დღეს სამს ენაზედ: ბერძულად, არაბულად და სლავურად. სლავურს ენაზედ სახარების კითხვის დროს არხიდიაკონი მოიქცა აღმოსავლეთად, ხოლო ბერძულისა და არაბულის კითხვაზედ დასავლეთად იქმნა მიქცეული ერისადმი. ფარძიმსა და ფეშხუმსა ეფარა ოქროს სუფრები დიდს გამოსვლაზედ, ხოლო დიდი დაფარნა გადააფინეს ზურგზედ არხიდიაკონსა და შეუკრეს წინადამ ლენტით. ქერუბიმთა საგალობელის დროს თვით

---

*) იხ. „ივერია“ № 242.

დაფასებით მათ-მიერ დაჭერილი ადგილები.

⁂ ტფილისის ოლქის სასამართლოს განყოფილების მესამე სესსია ქ. გორში განიხილავს საქმეებს 3 დეკემბრიდგან 16-მდე.

⁂ ქალაქის გამგეობამ მიანდო გამგეობის წევრს შესტაკოვს მოსაზრების წარდგენა იმის შესახებ, თუ როგორ უნდა იქმნას ასრულებული განსვენებულ შიოევის სურვილი, რომელმაც ქალაქს თანხა უანდერძა სახალხო განათლების სასარგებლოდ.

⁂ ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლმა თავ. კ. ი. ბაგრატიონ-მუხრან-ბატონმა, რომელმაც თავად-აზნაურთა სახელით კიევის მიტროპოლიტს იოანნიკეს 50 წლის სასულიერო მოღვაწეობა მიულოცა, შემდეგი დეპეშა მიიღო: „გულითად მადლობას გიძღვნით თქვენს ბრწყინვალებას და ბრწყინვალე ქართველ თავად-აზნაურობას ჩემთვის ძვირფასს საქართველოში ჩემის სამსახურის კეთილის ხსენებისა, გულითადის მოლოცვისა და კეთილის სურვილებისათვის. იოანნიკე“.

⁂ კავკასიის სამკურნალო ნაწილის სამმართველოს განსახილველად წარედგინა შემდეგი საგანი: მომატებულ იქმნას ამიერ-კავკასიაში სასოფლო საწოლებიან სამკურნალოთა რიცხვი და ამასთან დაარსდეს სასოფლო სამკურნალოებიც.

⁂ მთავრობას შეუწყნარებია ტფილისის ქალაქის საბჭოს შუამდგომლობა კამბეჩებსა, ხარებსა და ვირებზედ გარდასახადის დაწესების შესახებ (კამბეჩზედ არა უმეტეს 6 მან., ხარზედ—4 მან., ვირზედ 3 მან.), იმ პირობით კი, რომ ეს გარდასახადი ქალაქის დებულების თანახმად იკრიბებოდეს.

⁂ 10 ნოემბერს საბჭოს დარბაზში მოხდა ტფილისის ხელოსანთა მამასახლისის არჩევნები. ბარათებით კანდიდატებად დასახელებულ იქმნა 11 კაცი, რომელთაგან კენჭის ყრის თანხმობა განაცხადეს: ბ-ნთ სერობიანცმა, კაპანაძემ და როლოვმა. კენჭის ყრით არჩეულ იქმნა კარაპეტ სერობიანცი.

⁂ ფინანსთა სამინისტრომ განმარტა, რომ მევენახეთ უფლება აქვთ უპატენტოდ გაჰყიდონ საკუთარი ღვინო თავიანთის სახლებიდგან.

⁂ 9 ნოემბერს ქალაქის გამგეობამ დაადგინა წარუდგინოს ქალაქის საბჭოს თავისი აზრი იმის შესახებ, რომ გამგეობა თანხმა არ არის შეასრულოს საგუბერნიო მთავრობას ის დადგენილება, რომელიც შეეხება ამა წლის ქალაქის ხარჯთ-აღრიცხვას და მის ხელ-მეორედ შედგენას.

⁂ კვირას, 14 ნოემბერს, შუადღის 1-ლ საათზედ სამეურნეო-სამოსწავლო გამოფენაზედ გაიყიდება ზოგიერთი ნაწარმოები, ხოლო საღამოს 5 საათზედ გამოფენა მოისპობა.

⁂ ფოთის ქალაქის საბჭო, როგორც ისმის, ამ მოკლე ხანში განიხილავს სხვა-და-სხვა წინადადებას ფოთში ცხენის რკინის გზის გამართვის შესახებ.

⁂ ფოთის ქალაქის მოურავი ბ-ნი ნ. ნიკოლაძე ამ ჟამად ტფილისში იმყოფება.

⁂ აზნ. ი. ი. პოლტარაცკიმ ტფილისის გუბერნატორს პარიჟიდგან თხოვნა გამოუგზავნა, რომელშიაც აცხადებს: იმ გარემოებამ, რომ ტფილისის ცხენის რკინის გზას კონცესსია ისევ უსახელო საზოგადოებას დარჩა, ძალიან გამაკვირვა, მით უმეტეს, რომ ჩემ-მიერ წარდგენილი პირობები ამ გზის გამოსყიდვის შესახებ უფრო ხელ-საყრელი იყო ქალაქისათვის, ვიდრე უსახელო საზოგადოების პირობებიო. ამასთან პოლტარაცკის წარმოუდგენია ახალი პირობები, რომლიდგანაც, სხვათა შორის, სჩანს, რომ იგი მზად არის მიიღოს, უსახელო საზოგადოების ხელშეკრულობის ყველა პირობა.

⁂ 7 ნოემბერს ქ. გორში მოხდა ქალაქის მამასახლისისა და მისის თანაშემწის არჩევნები 1899—1903 წლისათვის. მამასახლისად არჩეულ იქმნა ი. ე. სააკოვი, ხოლო მის თანაშემწედ—ა. ი. ანდრონიკაშვილი.

⁂ ამ ჟამად ქალაქში მეურმეებს ხშირად ქუჩის დარაჯები უხვდებიან წინ, სახრეს ართმევენ და თან უბრძანებენ, კამბეჩებს, ხარებს და სხვა პირუტყვს სახრეს ნუ დაარტყამთო. პირუტყვის შებრალება ურიგო საქმე არ არის, მაგრამ სამწუხაროდ იგივე დარაჯები, რომელნიც პირუტყვებს ესარჩლებიან, სრულიად არ იბრალებენ თვით პირუტყვის პატრონს, თვით მეურმეს, რომელთაც სახრით ხშირად ზურგს უჭრელებენ და ხან-და-ხან-კი ხმლითაც უმასპინძლდებიან. აი მაგალითიც. ამ დღეებში ორს მეურმე გლეხს, რომლებსაც ვერის დაღმართზედ შეშა მიჰქონდათ, წინ დაუხვდა ორი პოლიციელი და უბრძანეს: ქუჩაში წაიღეთ და ისე გაჰყიდეთ, თორემ მოედანზედ ადგილი აღარ არისო.

რადგან გლეხები ქუჩაზედ შეშაში შესაფერ ფასს ვერ აიღებდნენ და მოედანზედ-კი ცარიელი ადგილი იყო, ამის გამო მათ არ მოინდომეს მოედნის დატოვება. ამიტომ ერთმა დარაჯთაგანმა სახრეს მიჰმართა, ხოლო მეორემ ხმალის ქარქაშის წვერი გაარტყა მუცელში ერთს მეურმეთაგანს, რომელსაც კინაღამ გული შეუწუხდა და სული ძლივს მოიბრუნა.

⁂ 9 ნოემბერს ქ. გორში ტფილისის ოლქის სასამართლოს განყოფილებამ გაარჩია ზღუდერის საზოგადოების მამასახლისის აზნ. ვას. ხმიადაშვილის საქმე. სასამართლომ ვ. ხმიადაშვილი დამნაშავედ იცნო. მან მამასახლისის თანამდებობის ასრულების დროს მისდა მინიჭებულ უფლებას გადაამეტა იმითი, რომ 27 მაისს 1898 წ., შეიპყრო რა ტუსაღი ხუდიაშვილი, მთავრობას კი არ წარუდგინა იგი, არამედ თავდებით გაუშვა, და ამას გარდა ხსენებული ხუდიაშვილი, რომელიც გამომძიებლის განკარგულებით შეპყრობილ იქმნა, გაიქცა ვას. ხმიადაშვილისავე დაუდევრობის გამო, რომელსაც ხუდიაშვილი საპყრობილეში წარსადგენად გარდაეცა. ხმიადაშვილი სასამართლომ სამსახურიდგან დათხოვნა მიუსაჯა.

⁂ „ტფ. ფ.“ პეტერბურგიდგან აუწყებენ, რომ სახელმწიფო საბჭო წელს განიხილავს ხიზანთა დებულების შეცვლის საქმეს.

⁂ გაზ. „ნოვ. ვრემ“-ის სიტყვით, პატარა მემუსიკე, ვიოლენჩელის დამკვრელი, „მიშა“ ხუციშვილი, რომელიც ამას წინად გავაცანით მკითხველთ, 27 ოქტომბერს მისის იმპერატორებითის უმაღლესობის დიდის მთავრის სერგეი მიხეილის ძისას ყოფილა მიწვეული და იქ თვისის ხელოვნურის დაკვრით ყველა დამსწრენი განუცვიფრებია.

⁂ „სინ ოტეჩ.“-ს სწერს, რომ მთავრობას ლაპარაკი აღუძრავს ამიერ-კავკასიისათვის საქალაქო დებულების შეცვლის შესახებ.

⁂ „კავკ.“ კიევიდგან დეპეშით აუწყებენ, რომ 9 ნოემბერს მიტროპოლიტის იოანიკეს მონასტერში მიტროპოლიტმა ვლადიმირმა, ოცდაორმა ეპისკოპოსმა და უწმიდესის სინოდის ობერ-პროკურორის ამხანაგმა საბლერმა განიხილეს შემდეგი საგნები: გადატანილ იქმნას ბაზრობა საქმის დღეებზედ; სასყიდელი დაენიშნოთ სამრევლო სკოლის სამღთო სჯულის მასწავლებელთ; დაარსდეს ეპისკოპოსთა საოლქო კრებები და მიეცეთ მათ ზოგიერთ საქმეთა საბოლოოდ გარდაწყვეტის უფლება; დაწესდეს საზოგადო საეკკლესიო ანუ საეპარქიო შენობათა საურთიერთო დაზღვევა; დაენიშნოთ ბლაღოჩინებს განსაზღვრული სასყიდელი შრომისათვის საეკკლესიო ფულიდგან.

⁂ როგორც „ტფ. ფ.“ ატყობინებენ ქუთაისიდგან, ადგილობრივს საგუბერნიო მთავრობას შუამდგომლობა აღუძრავს იმის შესახებ, რომ ამ გუბერნიის სოფლის მცხოვრებნი განთავისუფლებულ იქმნან ამიერ-კავკასიის რკინის გზაზედ დარაჯობის მოვალეობისაგან.

⁂ შემდეგ ამბავს სწერენ ქუთაისიდგან გაზ. „ტფილ. ფურცელს.“ ამ რამდენისამე დღის წინად სათავად-აზნაურო ბანკში ერთს მეტამბეს გამოუცხადებია, რომ ჩვენ სტამბას ვიღაც უცნობმა კაცმა ბანკის ბლანკები შემოუკვეთა და ეს ამბავი იცის თუ არა ბანკის გამგეობამაო. რადგანაც ბანკს არავისათვის დაუვალებია ბლანკების შეკვეთა, ამიტომ ძალიან დაინტერესებულია ამ საქმით. ბლანკი ასე ყოფილა შედგენილი:

Кутаисскій Михайловскій дворянскій Земельный Банкъ.

პატრიარქმა უკმივა საკურთხეველში და გარეთ ერსაც. დიაკონად ხელდასხმული, ტრაპეზისა გარეშის სამგზის შემოვლისა შემდეგ, ტრაპეზის წინ შუაზედ დააყენეს და არა მარჯვენით კუთხეზედა, ვითარცა მიღებულია წესად რუსეთის ეკკლესიაში. ხელდასხმის ანუ კურთხევის ჟამსა ომოფორის ქვეშ ეპყრა ხელნი პატრიარქისა თავსაზედა ხელდასასხმელისასა. ახლად ხელდასხმულ დიაკონმა წირვაზედ შუა ეკკლესიაში წაიკითხა სამსახურის სია თვისის შთამომავლობისა, სწავლისა და სამსახურისა და მოიხსენა, რომ იგი იაპონიის მისსიაში მიდის ქრისტეს სარწმუნოების საქადაგებლად.

ფარძიმ ფეშხუმის გამოსვენებაზედ ეგრეთვე მოიხსენია პატრიარქმა ცოცხალნი და მკვდარნი ლოცვების წაკითხვით რუსულს ენაზედა, ვითარცა ზევით იყო თქმული მთავარეპისკოპოზისაგან წირვის შესრულება.

წირვის შემდეგ იწყო მწუხრი, რომელზედაც პირველდაწყებითი ფსალმუნი „აკურთხევს სული ჩემი უფალსა“, წაიკითხა პატრიარქმა სრულიად ზეპირად, პირმოქცეულმა ერისაკენ. მწუხრზედ ამ დღეს დაესწრო ყოველივე სამღვდელოება იერუსალიმისა: 6 მღვდელმთავარი, რვა არქიმანდრიტი. პირველი ლოცვა მუხლმოდრეკილი წაიკითხა პატრიარქმა ბერძნულად; მეორე ლოცვა რუსულად—შელუტი მთავარ ეპისკოპოზმა და მესამეც—მოხუცმა ღუდელმა—არაბულად—თავისს სამშობლო ენაზედ. წირვა მწუხრით დასრულდა ათს საათზედ. წირვისა და მწუხრის შემდეგ პატრიარქი გამოაცილეს დიდებით თავისს სასახლემდის ქვეითად, რადგანაც ქუჩის სივიწროვის გამო ეტლი ვერ გაივლის ამ ადგილას; წინ მიუძღვარებდნენ დიდს ჯვარსა დროშასავით, ყველაზედ წინ მიუძღოდნენ ყავასები, ჩვენის ჟანდარმების მსგავსად, წესის დასაცველად გზაში; ეკკლესიაშიაც ამ მნიშვნელობას ასრულებენ ისინი.

წირვის შემდეგ შევედით პატრიარქთან დღესასწაულის მისალოცავად; იგი ბრძანდებოდა მაღალს დასაჯდომელზედა სამეფო ტახტის მსგავსად. პატივი გვცეს ჩვეულებრივ შარბათით და ყავით; სამღვდელოებასთან მიულოცეს პატრიარქსა მრავალთა ერისაგანთაცა.

ამავე დღეს მოვიხილე სიონის ქორი (горница, სამლოცველო ოთახი ზევითა სართულშია), სადაც შეკრებილიყვნენ წმ. მოციქულნი და გარდამოვიდა მათ ზედა ყოვლად წმიდა სული, სახითა ცეცხლისა ენათა. უმთავრესი ნაწილი ამ ადგილისა უპყრიათ ოსმალთ, რომელთაც ზედა აღუშენებიათ მეჩითი, ხოლო მეორე ნაწილი სიონისა არს დანიშნულ სასაფლაოდ მართლმადიდებელთა ეროვნობისა და წოდებისა განურჩევლად.

იერუსალიმში არაბის მღვდელთ მიუთვისებიათ ის უფლება, რომ უკეთუ სხვა ეროვნობის მართლმადიდებელი ქრისტეანე გარდაიცვალა, პატრონი მიცვალებულისა მიუცილებლად ვალდებულია მიიწვიოს ანდერძის წესის შესასრულებლად არაბთაგანი მღვდელიც. არაბის მღვდელთავე კვალადცა აქვთ მეორე უფლება: როდესაც იერუსალიმის რომელსამე ეკკლესიაში შესრულდება ტაძრის დღესასწაული, მაშინ არაბთაგანი მღვდელიცა უეჭველად მონაწილეობას მიიღებს ღვთის მსახურებაში და ამ ერთის დღის შემოსავალი საწირავი მისს კუთვნილებას შეადგენს.

7 ივნისს, ორშაბათს, სულის წმიდის დღეს, ვიყავ კვალადცა თანამწირველ პატრიარქისა რუსთა მისსის სამების საკრებულო ტაძარში. ამ დღეს თანამწირველად პატრიარქისა იყვნენ ორი არქიმანდრიტი, ორი დეკანოზი და 12 მღვდელი და მღვდელმონაზონნი. ეკკლესიაში შემოსვლაზედ მივეგებენით პატრიარქსა, შემდეგის წესით: რუსის არქიმანდრიტი, წინამძღვარი ამ მონასტრისა ჯვარითა, შუაში მდგომარე, ბერძნის არქიმანდრიტი—დღესასწაულის ხატითა მარჯვენით, და მარცხენით მე—სახარებითა. პატრიარქის შემოსვლაზედ რუსის არქიმანდრიტმა გამოიტანა პატრიარქის მიტრა, ბერძნისამ—ომოფორი, მე მივართვი ენქერი, რუსის დეკანოზმა ბისონი, სხვებმაც დანაშთენნი შესამოსელნი. წირვაზედ შემდეგ „ღირს-არსისა“ ანუ დღესასწაულის მეცხრე სძლისპირისა ბერძენთა-ეკკლესიაში მიღებულია შემდეგი წესი: დიდის ლანკანით მოართმევენ პატრიარქსა ანუ სხვა უპირატესს მწირველსა სეფისკვერთა მრთელთა და დაჭრილთაც, უპირატესი მიიღებს ხელში ლანკანსა ანუ სინსა და მით გამოჰსახავს ნიშანსა ჯვარისასა წმ. ძღვენთაზედა, შემდეგ დასწერს ჯვარსა ლანკანსა სეფისკვერებით სავსესა, აიღებს რაოდენსამე ნაჭერს სეფისკვერისას და შეეხება მით ბარძიმსა, და შემდეგ გარდასცემს ლანკანსა დიაკონსა, რომელმაც მოართვა იგი, და ერთს ნატეხს სეფისკვერისას მასთანავე უბოძებს მას.

ამ წირვის დროს ჰგალობდა ორი გუნდი, საპატრიარქო ხორო—ბერძნულად და მონასტრისა საერო წოდების მგალობელნი—რუსულად. სახარება და სამოციქულო ჯერ ბერძნულად წაიკითხეს და შემდეგ სლავურად. პატრიარქი და არქიმანდრიტები ბერძნულად ამბობდნენ ასამაღლებელთა და სხვა სამღვდელონი—სლავურად. ასამაღლებელნი რიგზედ სათქმელნი ყველას შევხვდა. მე შემხვდა მეორედ ასამაღლებელი: „და ღირს მეყვენ ჩვენ მეუფეო კადნიერებით დაუსჯელად კადრებად და ხდად (მოწოდებად) შენდა ზეცათა ღმრთისა მამისა და თქმად“.

ამ მონასტრის საკრებულო ტაძარში არის სამაგალითოდ მოწყობილი სალარო: თითოეულ შკაფში განსაკუთრებით აწყვია ფილონები, მეორეში—ოლარები, მესამეში სტიხრები და სხვა. ოცი წყვილი სამღვდელო და სადიაკონო შესამოსი არის; აგრეთვე არის სადმრთონი ჰურჭელნი ოქრო და ვერცხლის ცხრა წყვილნი. რომელნიმე მათგანნი ძვირფასნი შემოწირულ არიან სამეფო კაცთა რუსეთის საიმპერატორო სახლისა.

წირვის შესრულების შემდეგ, მ. არქიმანდრიტმა რაფაელმა, რუსთა მონასტრის წინამძღვარმა შეიწვია თავისს სადგურში ჩაიზედ მისი უნეტარესობა და მწირველნი სამღვდელონიც. დარბაზში იყვნენ, სამღვდელოების გარდა, რუსის კონსულის სახლობა, მდივანი კონსულისა და დრაგომანი მისივე. მისმა უნეტარესობამ მიბრძანა ჩაის დროს: როგორ მოგწონს ჩვენი ქალაქიო? მე მოვახსენე, ვმადლობ ქრისტე მაცხოვარსა, რომელმან აკურთხა სლვანი ჩემნი და ღირს-მყო ხილვად წმ. ქალაქის იერუსალიმისა, და თაყვანისცემად ცხოველს მყოფელის თვისის საფლავისა. შემდეგ ბრძანა: ტფილისში შევისწავლე ქართული ენა და აქ დამავიწყდაო და მცირედ და მესმის: როგორ მშვიდობით ბრძანდებითო? მე უმდაბლესად მადლობა მოვახსენე ეგევითარის მამობრივის სათნოყოფისა და ყურადღებისათვის ჩემდა მიმართ.

დეკანოზი პ. დ. კონჭოშვილი-ილწობელი

(შემდეგი იქნება)

Получено для выкупа . . . . .
Оставшагося за банкомъ . . . .
Отъ . . . .
На . . . .
Сумма . . . .
Укрѣпить . . . .
Управляющій банкомъ . . . .
Директоры }
Кассиръ . . . .

სტამბის პატრონისთვის უთხოვნიათ ბლანკებს ნურავის გადასცემთ და გვაჩვენეთ, ვინც შემოგიკვეთათ ეგ ბლანკებიო. შემდეგ, როდესაც ბანკიდგან გამოგზავნილი კაცი მისულა სტამბაში, უთქვამთ, რომ ახალგაზდა კაცი, წითელ ჩოხაში გამოწყობილი, ეს არის ახლა აქ იყო და ბლანკები მოითხოვაო, მაგრამ, როდესაც უარი მიიღო, უკმაყოფილება განაცხადა. ცოტაოი აირია და სთქვა, წავალ ბანკში და გავიგებ რაშია საქმეო. ბანკის ნაცვლად უცნობი ლონდონის სასტუმროში წასულა. ყოველივე ეს პოლიციას ეცნობა და აი, როდესაც ბანკის გამგე პოლიციიდგან მიდიოდა, წინ შეჰხვდა თურმე წითელ ჩოხა, უცნობი კაცი, რომელიც თავ. გ. ი. დ—ნი აღმოჩნდა. დ—ნს უთქვამს, ბლანკები შეუკვეთე სხვის თხოვნით, იმის გვარს ვერ გეტყვითო. ამასთან უთხოვნია, ეს საქმე ჩააფუჩეჩეთ და დავიწყებას მიეცითო. როდესაც ბანკში დაუბარებიათ, ყმაწვილი კაცი არეულად და მიკიბ-მოკიბით ლაპარაკობდა თურმე. საქმისთვის კანონიერი მსვლელობა მიუციათ.

ამ ამბავს ქუთაისში, კორესპონდენტის სიტყვით, დიდი მითქმა-მოთქმა და ლაპარაკი გამოუწვევია. ზოგი ამბობს, რომ ბლანკები შანტაჟისა და ხალხის მოსატყუებლად უნდოდათო, ზოგი კიდევ რას. ერთი სიტყვით, ყველა მოუთმენლად მოელის ამ საქმის გამორკვევას.

⁂ **ჭიათურა.** რადგან ჭიათურიდგან ს. მღვიმევისაკენ მიმავალ გზაზედ შავი ქვის მზიდველი მუშები თავიანთის ყვირილით, სიმღერითა და ლანძღვა-გინებით დიდად თურმე აწუხებენ გზის მახლობლად მყოფ მღვიმის დედათა მონასტერს და რადგან ჭიათურასა და მღვიმევ-ზედარგანს შუა მიმოსვლა სხვა გზითაც შეიძლება, ამის გამო იმერეთის ეპისკოპოსს შუამდგომლობა აღუძრავს საგუბერნიო მთავრობის წინაშე იმის შესახებ, რომ ხსენებული გზა სრულიად შეიკრას როგორც ცხენოსანთა, ისე ქვეითთათვის.

წერილი ყარსიდგან.

ყარსიდგან 80 ვერსტის მანძილზედ ყარსისავე ოლქში მდებარეობს ერთი პატარა სოფელი—მეჯინგერტი, რომელიც მდ. არაქსის ერთს მაღალ ნაპირზედ არის გაშენებული; თუმცა ეს სოფელი ეკუთვნის რუსეთის სამფლობელოს, მაგრამ ამავე დროს ითვლება რუსეთისა და ხონთქრის სამფლობელოების საზღვრათაც. ს. მეჯინგერტის მკვიდრნი თითქმის სულ ბერძნები არიან, ოთხიოდე კომლის ოსმალოს გარდა.

ამ მოკლე ხანში ამ სოფელში მოხდა ერთი ფრიად სამწუხარო ამბავი. 25 ოქტომბერს, ღამე, ბოროტგანმზრახველთ მოჰკლეს ამ სოფლის შტატს გარეშე მოფი მღვდელი დიმიტრი გიორგიევი თავისისავე სახლში, რომელსაც, როგორც ამბობენ, ცოტაოდენს ფულს აგულებდნენ თურმე. მკვლელობა ამნაირად მომხდარა: მღვდელი დიმიტრი საღამო ხანზედ ეკკლესიაში შესულა რაღაც საქმისათვის და სახლის კარი დაუკეტავი დაუტოვებია, რომელშიაც იმ დროს არავინ არა ყოფილა, მისი შვილისა და რძლის სხვაგან მყოფობისა გამო. ბოროტგამზრახველთ უდროვნიათ, შეპარულან მღვდლის სახლში და ტახტ ქვეშ დამალულან. მღვდლის სახლში დაბრუნებისთანავე, მასთან მოსულა ამავე მღვდლის ამ სოფელშივე გათხოვილი ქალიც თავისის 6 წლის შვილით, იმ განზრახვით, რომ ის ღამე თავისს მამასთან გაეთია. რადგანაც ეს ქალი წვრილ-შვილი ყოფილა, მამას ბავშვებისათვის თავი არ დაუნებებინებია და ვახშმის შემდეგ ისევ შინ გაუგზავნია, მაგრამ ის პატარა 6 წ. ყმაწვილი-კი დედას არ წაჰყოლია და პაპასთან დაუძინია. როდესაც მ. დიმიტრის დასძინებია, ბოროტგანმზრახველნი გამომძვრალან ტახტის ქვეშიდამ და დასდგომიან თავზედ. ამ დროს ამ პატარა ბავშვსაც გამოუღვიძნია, როიელიც იქავე პაპის ახლო წოლილა და შეშინებული მათდა შეუმჩნევლად კარში გავარდნილა. მისულა იქავე ახლო მეზობლის სახლის კარებთან და დაუწყვია კარის რაკუნი, მაგრამ სახლის პატრონთ კარი არ გაუღიათ, რადგანაც ერთი ვინმე ჯარის-კაცთაგანი ჰგონებიათ!.. კარგა ხნის ლოდინის შემდეგ იმედ გადაწყვეტილი ბავშვი ისევ შინ დაბრუნებულა, შესულა სახლში და რადგანაც ბნელაში ვერა გაუგია რა რაც მოხდა, ისევ თავისს ლოგინში ჩაწოლილა და დაუძინია. მეორე დღეს დილით, უნახავთ რა მეზობლებს მღვდლის სახლის კარი გაღებული, შესულან შინა და თვალწინ გარდაშლიათ შემზარავი სურათი.—ყელ-გამოჭრილი მოძღვარი! მაშინვე გაუღვიძებიათ ის 6 წლის ბავშვი და უკითხავთ ამ ამბის გარემოება, ყმაწვილს უთქვამს, რომ ღამე გამომეღვიძა და დავინახე, რომ პაპას ორი კაცი ეჩხუბებოდა, ერთი ხაზაზი ჩვენ რომ წაღებს გვიკერებს ხოლმე და მეორე კიდევ მჭედელიო. შემეშინდა, ავდექი ჩუმად და გარედ გამოვიქეციო; მოვედი თქვენსას (მიუთითებია მეზობელზედ) და დაგიწყეთ კარის რაკუნი, მაგრამ, რადგანაც ვერ გაგაღვიძეთ, ისევ შინ წავედიო; როდესაც შევედი, შინ აღარავინ არ დამხვდა, ისევ ჩემს ლოგინში ჩავწექი და დავიძინეო. ამ გამოკითხვის შემდეგ თურმე ეს ბავშვი შეიყვანეს იმ კაცებთაან და ჰკითხეს: აბა ვინ ეჩხუბებოდა პაპა შენსაო, ყმაწვილმა მაშინვე ჩამოუარა და მალე იცნო დამნაშავენი, შემდეგ ტანისამოსი გამოუცვალეს თურმე ყველას და ისე აჩვენეს მთელი რაზმი, მაგრამ მაშინ კი ბავშმა ვეღარ იცნო ისინი.

განსვენებულს მოძღვარს თავში ჯერ ცული აქვს დარტყმული, შემდეგ რამდენსამე ალაგას დანით არის დაჭრილი და ყელი აქვს გამოჭრილი. მკვლელნი იმ ყმაწვილის ჩვენებით კალაშნიკოვი და ლისენკო არიან. ბოროტ მოქმედთ ყუთი გაუტეხნიათ და 700 მანეთამდე ფული წაუღიათ. კალაშინიკოვი და ლისენკო დააპატიმრეს.

ალ. ვარდიაშვილი

ქართული მუსიკა.

1870—1880 წლებში ტფილისის სამღვდელოებას აღეძრა ლაპარაკი ქართულის გალობის ნოტებზედ გადაღების შესახებ, რომლის განსახორციელებლად შეადგინათ კომიტეტი და მგალობლებიც მოიწვიათ, მაგრამ, რადგანაც ვითომცა მცოდნე კაცებს გარდაეწყვიტათ, რომ ქართულის გალობის ნოტებზე გადაღება შეუძლებელიაო, ამისათვის საქმე ჩაშლილიყო და დავიწყებას მისცემოდა. 1880—1883 წლის საოპერო სეზონებში მოწვეული ვიყავ მე ევროპიდგან ტფილისის თეატრში. შევასრულე თუ არა ვადა სამსახურისა და დავაპირე ევროპაში წასვლა, იმ დროს მოვიდა ჩემთან რამდენიმე ქართველი მგალობელი და მკითხეს: შესაძლებელია თუ არა ქართულის გალობის გადაღება ნოტებზეო? ძალიან ადვილად-მეთქი, ვუპასუხე. იმათ ეჭვის თვალით შემომხედეს. მობრძანდით ხვალ, მიგალობეთ რაც გინდათ და მაშინ შეიტყობთ, რაც მოხდება-მეთქი,—ვუთხარი მე. მოვიდნენ, იგალობეს, დავაწყე ნოტებზედ, ვუგალობე მათი ნათქვამი და ფორტე-პიანოზედაც გავაგონე ახალი დაწერილი გალობები. მაშინ დარწმუნდნენ, რომ ქართულ გალობის ნოტებზედ დაწყობა შესაძლებელი ყოფილა.

ეს ამბავი მოეფინა მთელ ტფილისს. დამეწერინეს მთელის წირვის გალობა, რომელიც მოისმინა რამდენჯერმე ქართველმა ინტელიგენციამ, საზოგადოებამ, სამღვდელოებამ, თავად-აზნაურობამ, ბ-ნ მაღალაშვილის სახლში და აწ განსვენებულმა ეგზარხოსმა პავლემ. რუსული და ქართული გაზეთებიც დიდის თანაგრძნობით იხსენიებდნენ ამ სასიამოვნო მოვლენას. საქმე დადგა ისეთ ნიადაგზე, რომ გალობის წერა ტფილისში უნდა დამთავრებულიყო, მაგრამ სხვა-და-სხვა მიზეზებისა გამო ეს ასე აღარ მოხდა. ამისათვის გალობის წერა დავიწყეთ ქუთაისში ნეტარ-ხსენებულის გაბრიელ ეპისკოპოსის სურვილით და ნება-რთვით. ნეტარ-ხსენებული გაბრიელი დიდის სიფრთხილით შეუდგა გალობის საქმეს: მოიწვია საუკეთესო მგალობლები გალობის გადმოსაცემად; დავწერდით თუ არა რამდენსამე საგალობელს, შეამოწმებინებდა გამოცდილ მცოდნე მგალობლებს. ამ შემოწმებულს საგალობლებს მოისმენდა ხან ეკკლესიაში და ხან თავისს დარბაზში. მომყავს ეს წარსული ამბავი იმისათვის, რომ ყოველ გვარი ქმნილება ხალხისა, მისი ჩვეულება, სწავლა, გენიოსობა ზეპირი თუ წერილობითი, უნდა დამტკიცდეს ხალხისავე მსჯელობით, დაფასებით. განა ცოტასა ვხედავთ ჩვენ ხალხის ქმნილებას, ჩვეულებას შებღალულსა და დამახინჯებულს?

დაიწერა საგალობლები დიდის სიფრთხილით, მოიწონა საზოგადოებამ და სცნო მისი სინამდვილე. ცოტაოდენი დაიბეჭდა კიდეც, მაგრამ სოფელი რას ამბობს? არა სწამს. ის ჩვენებური არ იქნებაო. ხალხის ასეთმა ეჭვმა და ურწმუნოებამ მაიძულა სოფლებშიაც მომესმინებინა ნოტებზედ დაწყობილი გალობა. სამი თუ ოთხი წელიწადი ვიარე სხვა-და-სხვა სოფლებში; ბევრგან გავაზიდე წირვის გალობა, რომლის მოსმენისთანავე ხალხის სიხარულსა და აღტაცებას საზღვარი არა ჰქონდა. ჩემდა სასიამოვნოდ, ჩემ მიერ დაწერილ სოფლებში ბევრი მშვენიერი სიმღერა დავწერე, ისე რომ დიდ-ძალი სიმღერები მაქვს შეგროვილი. ამ სიმღერებში ყოველ გვარ შემთხვევის მოთხოვნილებას იპოვნით: მაგალითად, სამგლოვიარო მუსიკას, იმოკნით ზარს; გარდა ამისა ათასნაირს სამხიარულოს, მუშურს, ნადურს, მგზავრულს, ცხენოსნურს, ლაშქრულს, მაყრულს, ყანურს, კრივის დროსას, სუფრულს, ოხუნჯურს, აშიკურს, ხელხვავს ოთხნაირს, მოგონებას, მონადირეთა სიმღერას, რომანსებს, დუეტებს (ჩემ მიერ შეკეთებულს), მეგრულს, ქართლურს, კახურს და სხვ.

კარგად ვიცით, რომ მუსიკა არის ხალხის ხასიათის გამომხატველი, წარსულის მომგონებელი, აწმყოს დამახლოებელი და შემაერთებელი, უცნობთა გამცნობი, მეგობრობის დამაკავშირებელი, მეზობელთა კარის გამღები, უცხოთა შორის თავმომწონეთ გამომაჩენელი, ჭირვარამის ნუგეში და დამამშვიდებელი, სიყვარულის აღმძვრელი; ერთის სიტყვით, მუსიკა არის სულის საზრდო. ამისათვის მოგიწოდებთ და გთხოვთ ქართველ ახალ თაობას, ქალსა და კაცს, შევიკრიბნეთ, გავიცნოთ ერთმანეთი, შევისწავლოთ ძველი და ახალი ქართული სიმღერები. მასალა ბევრი გვაქვს და ბევრსაც შევიძენთ. შევადგინოთ პატარა ოჯახური წრე, გავმართოთ სამუსიკო საღამოები, მოვამზადოთ კონცერტები, რომელთა შემოსავლის ნაწილი მოვახმაროთ ამ საქმის გაუმჯობესებას და ნაწილი საქველ-მოქმედო საქმეს.

იმედია, ჩვენი ახალგაზდა ლოტბარები და მუსიკოსები თანაგრძნობას და დახმარებას აღმოუჩენენ ამ საქმეს. იმათის შეერთებულის ძალით ამ საქმეს განვავითარებთ და კულტურულ გზაზედ დავაყენებთ. ვიქონიოთ ერთობა და საქმეც ფეხს მოიდგამს და სასურველი შედეგი ექმნება.

ფილიმონ ქორიძე

ადრესი: ნემეცის ქუჩა, № 3, სლივიცკის სახლში, მიხეილის ქუჩიდგან ცხენის რკინის გზის ლიანდაგი რომ შეუხვევს.

უცხოეთი

საფრანგეთი. გაზ. „Aurore“-ში დაბეჭდილია პიკარის წერილი, რომელიც მინისტრ-პრეზიდენტის ვალდეკ-რუსოსათვის გაუგზავნია. პიკარი ამბობს თავისს წერილში, რომ აგერ მთელი ერთი წელიწადი გადის, რაც, პარიჟის სამხედრო გუბერნატორის ბრძანებით, ჩემს წინააღმდეგ გამოძიება სწარმოებს, ვითომც მე სიყალბე ჩამედინოს, ამ სიყალბით მესარგებლოს და ჯაშუშობის შესახებ კანონი დამერღვიოს. რამოდენიმე ნაწილი ამ ბრალდებისა საკასაციო პალატამ ამხადა, რომელმაც გააუქმა ბრალდება petit bleu-ს შესახებ. დარჩა მხოლოდ ბრალდება ჯაშუშობის შესახებ კანონის დარღვევისა, რომელიც იმაში მდგომარეობს, რომ ვითომც ადვოკატის ლებლუასათვის საიდუმლო საბუთის ქაღალდები მეჩვენებინოს. თუმცა საგამომძიებლო სასამართლოს უკვე განუხილავს ეს საქმე, მაგრამ სამხედრო მთავრობას ჯერ კიდევ არ განუთავისუფლებია პიკარი ბრალდებისაგან. ამისათვის ის თხოულობს, რომ ასეთს მდგომარეობას ბოლო მოეღოსო, რომ მე მიმეცით პასუხის გებაში და ნურას შემთხვევაში ნუ გაავრცელებთ ჩემზედ ამნისტიასაო (დანაშაულობის მიტევებაო).

იაპონია. პარიჟის გაზ. „მატენ“-ში დაბეჭდილია მისი კორესპონდენტის საუბარი ერთს კაცთან, რომელსაც დიდ ხანს უცხოვრნია აზიის შორეულს აღმოსავლეთში. ამ კაცს ბევრი რამ საინტერესო უამბნია კორესპონდენტისათვის იმის შესახებ, თუ იაპონია როგორის საოცარის სისწრაფით ამრავლებს ჯარებსა და ფლოტს და ამაგრებს ზღვის ნაპირა ქალაქებს.

იაპონიის ყველა ნავთ-სადგური უკვე გამაგრებული არისო,—უთქვამს მოსაუბრეს;—ოსაკას, იოკოგამსა და ნაგასაკაში ხუთ-ხუთი თუ ექვს-ექვსი არსენალია აშენებულიო, სამხედრო ხარჯს კიდევ 400 მილიონი მანეთი მიუმატესო. საოცარი ის არის, რომ იაპონია არავის წინააღმდეგ არ ემზადებაო; იმას მხოლოდ უნდა, რომ ყოველ შემთხვევისათვის მზად იყოს და მეორეც კიდევ ისა, რომ მთელს იაპონიას მუდამ გაფაციცებით თვალი უჭირავს კორესკენაო. იაპონია არაოდეს არ დასთმობს არა თუ იმას, რომ სრულიად დაიჭიროს ვინმემ კორეა, არამედ სხვის გავლენის ქვეშ იმყოფებოდეს ეს ქვეყანაო.

გაზ. „ნიში-ნიში შიმბუნის“ რედაქტორს უთქვამს ამ კაცისათვის, რომლის სიტყვები ზემოდ მოვიყვანეთ, რომ ნახევარ ჩინეთში არ გასცვლის იაპონია კორეს, მაგრამ საქმე თუ ჩინეთის განაწილებამდე მივიდა, იაპონია თავისთვისაც მოითხოვს წილსაო.

სუდანი. ჩრდილო აფრიკის მცხოვრებლებმაც დაიწყეს მოძრაობა ინგლისის წინააღმდეგ. წარსულს წელში ინგლისის გენერალმა ლორდ კიჩენერმა დაამარცხა დერვიშები ომდურმანთან სუდანში და როგორც ინგლისის მთავრობამ, ისე გაზეთებმაც საქვეყნოდ გამოაცხადეს, რომ დერვიშების ძალა სავსებით შემუსვრილია და იმათ მხრით აღარავითარი შიში არ მოველისო. მაგრამ, როგორცა სჩანს, ამ ქვეყნის მკვიდრთ კიდევ შერჩენიათ სიცოცხლის ნიშან-წყალი და მათს წინამძღოლებს, რომელნიც ინგლის-ეგვიპტის ჯარების ყუმბარებს გადაურჩნენ შარშან, ახალი ჯარები შეუგროვებიათ ამ ჟამად სუდანის სამხრეთ ქვეყნებში. ვინ იცის, იქნებ იმათაც გაიგეს სამხრეთ აფრიკის ომის ამბავი და ამ გარემოებამ იმედები აღუძრა მათ გულში. „ტიმეს“-ს დეპეშით ატყობინებენ კაიროდგან, რომ ხალიფა აბდულ-ალა თეთრი ნილოსის ხეობით სისწრაფით მოდის ჩრდილოეთისაკენ და აბბასის კუნძულამდე მოაღწიაო, რომელიც 150 მილის მანძილზედ მდებარეობს ხართუმის სამხრეთ მხარეს, შემდეგ მიღებულის ცნობებით, ხალიფა, რომელიც ამას წინად გამოვიდა კორდოფანიდგან, დუემის მახლობლად იმყოფებაო, რომელიც აბბასზედ უფრო ახლოს არის ხართუმიდგან.

საზოგადოდ დიდი მოძრაობაა ჩრდილო აფრიკის მაჰმადიანთა შორის. სივას ოაზისიდგანაც მოსულა ამბავი კაირში, რომ სენუსის დერვიშების ორდენის წინამძღოლმა დასტოვა ტრიპოლში თავისი სატახტო ადგილი კუფრა და თავისის მომხრეებით დასავლეთ სუდანისაკენ გალაშქრაო.

სასამართლოს მატიანე

პლიუშჩევსკისა და თავ. მუხრან-ბატონის საქმე.

10 ნოემბერს ტფილისის ოლქის სასამართლომ შემდეგი განაჩენი გამოუ-

ხადა კ. რ. პლაუშჩევსკისა და თავ. გ. ი. მუხრან-ბატონის საქმის შესახებ: 1) დავის საფუძვლად წარდგენილ საბუთის ქაღალდის სინამდვილის გამოსაკვლევად განხილულ იქმნას ეს ქაღალდი სამოქალაქო სასამართლოს მიერ; 2) შედარებულ იქმნას სასამართლოს სხდომაზედ, საქმის მცოდნე კაცთა თანადასწრებით, საეჭვო ქაღალდის ხელნაწერი თავ. მუხრან-ბატონის ნამდვილ ხელნაწერთან; 3) მიეცეს მოპირდაპირე მხარეთ ორის კვირის ვადა: ა) ურთიერთთან შეთანხმებით საქმის მცოდნე კაცთა ასარჩევად და ბ) ხელნაწერთა შესადარებელ ქაღალდების ასარჩევად; 4) ნაფ. ვექილს ბ-ნს გუნცაძეს მოწმობა მიეცეს სასამართლოში ნოტარიუსის ყიფიანის იმ რეესტრის წარსადგენად, რომელშიაც იმყოფება თავ. ი. კ. მუხრან-ბატონის ხელწერილი, ხოლო ხსენებულ რეესტრის წარსადგენად დაინიშნოს ორი კვირის ვადა, 5) დაერთოს ამ საქმეს ტფილისის ოლქის სასამართლოს 1897 წლის საქმე, რომელიც შეეხება მედიატორეთა განაჩენის ასრულებას და რომელშიაც არის თავ. ი. კ. მუხრან-ბატონის მიერ ხელ-მოწერილი ქაღალდები; 6) შემოწმების მოსახდენი ხარჯი დაედვას ორსავე მოდავე მხარეს; 7) არ იქმნას შეწყნარებული ნაფ. ვექ. გუნცაძის შუამდგომლობა თავ. ი. კ. მუხრან-ბატონის საქმეთა მოთხოვნისა და გასინჯვის შესახებ, ამასთან უარი ეთქვას როგორც ნაფ. ვექილს გუნცაძეს და აგრეთვე ნაფ. ვექ. მონს მათ-მიერ ნაჩვენებ მოწმეთაგან ჩვენების ჩამორთმევაზედ.

დაიმახსოვრე

დედაკაცი მორიელსა ჰგავს, ყოველთვის მზადაა საკბენად და სხვის დასაგესლად.

წმ. ბუონავენტურა

* * *

აღთქმა და სასოების ნერგვა გამოიზრდება, ვინაიდგან ხშირი აღთქმა და დაპირება შენი უძლურების ნიშანია.

კამბიზ

* * *

თუ გსურს ერი დაიმორჩილო, მორჩილნი შეაქე და შეიყვარე, ხოლო ურჩნი არცხვინე და ტუქსე.

კვიროსი

ჟურნალ-გაზეთებიდგან.

(ამოკრებილი ამბები)

უცნაურს ამბავს იუწყებიან ფრანგულ-გაზეთები. ამას წინად, ამ გაზეთების სიტყვით, ნიცცის მახლობლად სოფ. ილოიზში არწივს ერთი პატარა ბავშვი მოუტაცნია. დედ-მამა ბავშვისა დილით მინდორში წასულა სამუშაოდ, ძუძუ-მწოვარა ბავშვი 12 წლის ქალის ანაბარა დაუტოვებიათ. ქალს ცოტა ხანი თავი მიუნებებია ბავშვისთვის და მეზობელთან წასულა რიღასიც სათხოვრად. სწორედ ამ დროს ხევიდგან დაშვებული უზარმაზარი არწივი, ჩაუვლია ბავშვისთვის კლანჭები და გაუტაცნია. ბავშვს, რასაკვირველია, წივილ-კივილი დაუწყვია, ამ წივილ-კივილზედ დედაკაცები გარედ გამოცვივნულან, მაგრამ რაღას უშველიდნენ საწყალ ბავშვს.

* * *

ცნობილი მხატვარი პროფესორი ა. ი. კუინჯი საშინელი მოყვარული ყოფილა ფრინველებისა. კარგა ხანია კუინჯი ფრინველების მკურნალობას შეუდგა თურმე: პროფესორს სახლის თავზედ პატარა ამბულატორია ჰქონია, სადაც ყოველ დღე მრავალი დაკოდილი და დაჭრილი ფრინველი იყრის თურმე თავს. სწორედ საკვირველს ამბავს იუწყებიან ამის შესახებ გაზეთები. ფრინველები თითქოს ატყობინებენ ერთმანეთს, რომ ამა და ამ ადგილას კეთილი კაცი სცხოვრობს, ისე მრავლად ეტანებიან კუინჯის ფთებ და ფეხებ დანტვრეული ფრთოსანნი. პროფესორიც საოცარის გულმოდგინეობით სწამლობს თურმე ამ დაშავებულთ.

* * *

იაპონიაში საოცრად ყოფილა თურმე გავრცელებული ბანქოს თამაში. ამასთან უბრალოდ, დროს გასატარებლად იაპონელნი არასოდეს არ თამაშობენ. ამ ბანქოს თამაშის გამო მრავალი დანაშაულობა ხდება. როგორც სტატისტიკურის ცნობებიდგანა სჩანს, ბანქოს თამაშით გამოწვეული დანაშაულობა 53,896-ს აღემატება, სულ-კი დანაშაულობა 1898 წელს იქ 184,662 მომხდარა. მთავრობა ძალიანა სცდილობს ამ სენის აღმოფხვრას, მაგრამ ვერაფერი გაუწყვია.

* * *

მოსკოვის გუბერნიის სოფ. პეტროვსკში ამ ჟამად სცხოვრობს 105 წლის დედაკაცი კროშჩიხა. კროშჩიხას ჯერ თვალთაც-კი არ აკლია თურმე, დღესაც, როგორც ახალგაზდობაში, ისე შრომობს და მუშაობს. მთელი მაზრა კარგად იცნობს თურმე ამ მოხუცს დედაკაცს. სახელი კროშჩიხმა ბებიაობით გაითქვა. მთელი 80 წელიწადია, რაც ამ ხელობას ადგია. ამ ხნის განმავლობაში კროშჩიხს 7,000 დედაკაცისთვის აღმოუჩენია შემწეობა მშობიარობის დროს. მოხუცს დედაკაცს ეხლა შვილის-შვილის-შვილის-შვილები ჰყავს თურმე.

* * *

ამას წინად ხარკოვში მისულა ფრანგი ჟურნალისტი პოლ გეტენკინი. გეტენკინს აზრადა აქვს ფეხით მოიაროს აღმოსავლეთის ქვეყნები. ამ მგზავრობის მიზეზი სანაძლეო ყოფილა, რომელიც 1897 წელს დაუდვია ერთ მდიდარ ფრანგთან. თუ გეტენკინმა შემოიარა ის ქვეყნები, რაც სანაძლეოშია აღნიშნული, მიიღებს ჯილდოდ 50 ათასს ფრანკს. მოგზაურს უკვე გაუვლია ფეხით ესპანია, მაროკკო, ეგვიპტე, არაბისტანი, სპარსეთი, საიდგანაც რუსეთში ამოსულა. სულ გეტენკინს გაუვლია 30 ათასი კილომეტრი, ჯერ-ჯერობით ამ მგზავრობის დროს 70 წყვილი ფეხსაცმელი გაუცვეთია. გეტენკინი გზა-ტკეცილს ერიდება და უმთავრესად რკინის გზის ლიანდაგზედ მიდის ხოლმე. ყველა სადგურზედ სადგურის უფროს ანიშვნინებს თავისს რვეულში რა დროს მივიდა სადგურში. თან მგზავრს ერთი თოფი და პატარა ტოპრაკი აქვს, რომელშიაც საგზაო ჟურნალი და ალბომი უდევს თურმე.

უკვდავთა ღაღადებანი

ვ. ღვთისმეტყველება

ვახტანგ გორგასლის მოწამისა.

მეფეთა და ერთა ზედა მოიწევის განსაცდელი და ჭირი ღვთისა მიერ, ცოდვათა მათთაგან. ოდეს მორწმუნეთა აკლონ მსახურებაჲ ღვთისა და გარდაკდენ მცნებათა, მოაწევს ჭირთა ესე-ვითართა ზედა, რომელ აწ ესე მოაწია ჩვენზედა. ვითარცა რაჲ მამაჲ კეთილი სწრთვის შვილსა კეთილად საქმეთა ზედა კეთილთა, და უკეთუ არა კეთილად აღასრულებდეს სწავლასა მამისა თვისისასა, გვემს მამაჲ იგი გვემითა და სწავლითა, რათა ასწავოს ყოველი კეთილი და იქმნას საკმარ კეთილისა. ეგრეთ გვწვართნა ჩვენ ღმერთმან დამბადებელმან ცისა და ქვეყანისამან. ამისთვის გვიგმს ჩვენ, რათა ვმადლობდეთ მოწყალებათა მისთა.

გორგასალი გამეფდა 472 წელს და აღესრულა 532 წელს. იგი ჯერ ისევ ჩჩვილი ყრმა იყო, რომ მამა მოუკვდა. საქართველო დიდს განსაცდელში ჩავარდა. სპარსელებმა, ოსებმა და ბერძნებმა გლეჯა დაუწყეს. ოსები ნავარდობდნენ ქართლში და მეფეს მოსტაცეს მცირე-წლოვანი და მირანდუხტ. ვახტანგი განიცოდა მისის სიბრალულით. 16 წლისა რომ შეიქმნა, მოიწვია ლაშქარი და ოსების დასასჯელად წავიდა. გარნა გალაშქრების წინად თავისს მეომრებს აუხსნა, რომ ღმერთი გვსჯის ჩვენის ცოდვების გამოო. ვახტანგმა შემუსრნა ოსნი, ყივჩაყნი, იალბუზს შემოუარა, გადმოვიდა აფხაზეთს და სამეგრელოდგან მცხეთას დაბრუნდა. ჩრდილოეთის ველურებმა მორჩილება აღუთქვეს და ტყვედ წაყვანილი მირანდუხტიც მოსცეს მეფეს. ვახტანგმა ბევრი იღვაწა საქართველოს დიდებისათვის და ეკკლესიის განმტკიცებისათვის, რომელსაც კათოლიკოსი დაუდგინა. იგი მოიკლა ყაენის ხოსროს მიერ და შეირაცხა მოწამეთა შორის. ჰმარხია მცხეთის სვეტიცხოველში (იხ. უფრო ვრცლად ჩვენს წერილში „ვახტანგ გორგასალი“ („მოამბე“ 1899, № III).

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა საგენტოსაგან)

10 ნოემბერი

პარიჟი. „ჰავასის სააგენტო“. ოდენკურში მუშებმა მუშაობა აღკვეთეს. 1000 მუშა ბოლფორში მისულან და იქიდგან პარიჟში აპირებენ წასვლას. მინისტთა საბჭომ დაადგინა, ზომები მიიღოს, რათა მუშებმა პარიჟში შესვლა ვერ მოახერხონ. გზაზედ ცხენოსანი რაზმია დაყენებული, რომელსაც ნაბრძანები აქვს მუშები არ შეუშვას ქალაქში.

ბელფორი. 10 (22) ნოემბერი. „ჰავასის სააგენტო“. მუშები უკანვე ოდენკურში დაბრუნდნენ.

ქაირი. 22 ნოემბერი. „ჰავასის სააგენტო“. აფიცრები ამერიკის იმ სამხედრო გემებისა, რომელთაც სუეზის არხზედ გაიარეს, ამბობენ, ვშიშობთ, რომ შეერთებულ შტატებსა და იაპონიის შორის საქმის ვითარება არ გამწვავდესო.

ორანჟ-რივერი. 22 ნოემბერი. „რეიტერის სააგენტო“. ბურები შეუდგნენ ბელმონტის, კაფირსკოპის და ახლო-მახლო გორაკების დაჭერას. მცირე რაზმი ულანებისა, რომელიც ადგილ-მდებარეობას ათვალიერებდა, წინ შეეხჩა ბურებს, რომელთაც სროლა დაუწყეს. რაზმი უვნებელი უკანვე ორანჟ-რივერში დაბრუნდა. როგორც ეტყობა, ბურებს ახალი ჯარი მოეშველათ. მათ ბელმონტში ზარბაზნები დადგეს.

დურბანი. 22 ნოემბერი. „რეიტერის სააგენტო“. გაზეთ „Natal News“-ს ატყობინებენ გრეიტაუნიდგან, რომ ბურებმა ჰოლანდიელი ფერსნერკი გელპმაკააზისა და ტუმზიტარის ოლქების მოსამართლედ დანიშნესო. ეს მოსამართლე ბურების კანონებით ადგენს სამართალს. გრეიტუნის ოლქის ნემცები შეკრებილ იქმნენ ბურების უფროსის მიერ. უფროსმა გამოუცხადა მათ, რომ ან ერთგულება შეჰფიცეთ ტრანსვაალს, ან შვიდის დღის განმავლობაში ფერმებს თავი მიანებეთო. ნემცებმა მოსაფიქრებლად დრო მოსთხოვეს; შემდეგ დაადგინეს ფიცზედ უარი განაცხადონ. მათ ბურებს თავიანთი პასტორი გაუგზავნეს, რომელმაც გამოუცხადა, რომ შეგიძლიანთ დაგვხვრიტოთ, მაგრამ ჩვენს მიწა-ადგილს კი თავს არ გავანებებთო. შემდეგ გაზეთი იუწყება, რომ კაპის რაზმში მოსამსახურეთა სახლები გამართულ იქმნაო. ძარცვა-გლეჯაში მონაწილეობა ჰოლანდიელთაც მიუღიათ.

11 ნოემბერი.

პეტერბურგი. შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველმა, საერო განათლებისა, სასჯულო საქმეთა და ფინანსთა მინისტრებმა და უწმ. სინოდის ობერ პროკურორმა დაადგინეს მოისპოს გაზეთის „Рускій Трудъ“-ს გამოცემა.

პარიჟი. უზენაესი სასამართლო. ანტისემიტმა ბრიუნემ განაცხადა, სარევოლიუციო საშვალების ხმარებას ვურჩევდი მთავრობის დასამხობადაო.

ლორენსო მარკეზე. ბურებმა ყუმბარების დაშენით უკუ აქციეს ის ინგლისელები, რომელნიც ლედისმიტიდგან გამოსვლას აპირებდნენ. ჰფიქრობენ, რომ უკუ-ქცეულ ინგლისელთ განეზრახათ ესტკორტის ჯარს მიშველებოდნენ, რომელსაც მათთვის დახმარება ეთხოვათ. ამ თხოვნის გადამცემი შიკრიკი შეეპყროთ ბურებს და შემდეგ ისევ გაეშვათ. ჟუბერი იუწყება, ესტკორტის ჯარს პიტერმარიცბურგისაკენ გზა შევუკარიო.

პრეტორია. გენერ. სნიმანი იუწყება, იორშაბათს ცხარე ომი მოხდა მეფეკინგთანაო. ბურებს მოუკლეს ერთი კაცი ხოლო ინგლისელთა ზარალი არ ვიცითო.

როგორც ისმის, გოლანდიის ფერმერები ნატალში საყოველთაო აჯანყებას აპირებენ. კაპის ახალშენის ბურები იმ ოლქებში, რომლებიც რესპუბლიკის სამფლობელოდ იქმნა გამოცხადებული, უკვე ბურებს უერთდებიან.

პიტერმარიცბურგი. ლედისმიტის თავისუფალ ჯარის-კაცთა აფიცერი დეპეშით ატყობინებს მთავრობას, რომ ყველა თავისუფალი ჯარის-კაცები მშვიდობით არიან. ზარბაზნების სროლა შესწყდა.

კაპშტადტი. დღეს მოვიდა აქ ტრანსპორტის გემები 3,500 კაცით, სხვა და სხვა იარაღებით, სურსათით და 3,000 ჯორით.

ლონდონი აფრიკანდერთა წინამძღოლის გოფმეიერის თაოსნობით საზოგადო სამუშაოთა მინისტრი ზაუერი, ომის გათავების დასაჩქარებლად, ჩრდილოეთში გაემგზავრა იმ განზრახვით, რომ ალივალნორტში აფრიკანდერები აიძულოს ომში მონაწილეობა არ მიიღონ. იგი იმასაც ეცდება მოელაპარაკოს იქ ორანჟეს ბურთა წინამძღოლს გოფმანს და დაითანხმოს ბურები ზავის ჩამოგდებაზედ.

დურბანი. ბურებმა ტელეგრაფის მავთული გადასჭრეს სადგ. გეიგლარდთან. ახლა ბურები გაბატონდნენ რკინის გზაზედ მოირევერსა და ესტკორტს შუა. გუშინ საღამოდგან ესტკორტისაკენ გზა სრულიად შეკრულია.

წერილი რედაქციის მიმართ

მადლობას ვუცხადებ ქ. ტფილისის მოვაჭრეს დ. ბ. ნაფეტვარიძეს, რომელმაც შემოსწირა ჩემდამო რწმუნებულს სასწავლებელს ხელმწიფე იმპერატორისა და იმპერატრიცას სურათები, ღირებული 10 მან. 300 რვეული და 200 ყარანდაში, ღირებული 12 მან., და ქუთაისის წმ. გიორგის ეკკლესიის მღვდელს ნ. ყუბანეიშვილს, რომელმაც შემოსწირა მოსწავლეების წიგნთსაცავს 20 ცალი მის მიერ გადმოკეთებული და გამოცემული წიგნი, ღირებული 1 მან.

ზედამხედველი-მასწავლებელი ტობანიერის ორკლასიანი სამინისტრო სასწავლებელისა

ვლადიმერ ნაცვლიშვილი

როიალები

პიანინო

ფის-გარმონიები, სკრიპკები, გიტარები, ფლეიტები, კლორნეტები, ნოტები, სიმები და სხვ. და სხ.

ყოველ ამ სამუსიკო იარაღის შეძენა შეიძლება ფასის წვრილ-წვრილად გადახდით.

პრეისკურანტები მუქთად იგზავნება,

კავკასიის ცენტრალი საწყობი სამუსიკო იარაღებისა
ბ. მ. მირიმანიანისა
музыкальное депо
М. МИРИМАНЯНА.
Тифлисъ. Дворцовая ул.
(24—6.—20)

პეტერბ. სამკურნალო გამგეობის ნება-რთვით. დიდი კოლოფი ღირს 5 მან., პატარა კოლ. —3 მან. და 1 მ. 50 კაპ.

ТИФЛИСИНЪ

ახალი საშუალება

თმის გასაზრდელად და გასამაგრებლად, რომელიც აგრეთვე ქერტლსაც აქრობს. შემდეგ, გამოვიდა კიდევ ახალი საშუალება

„კვერცხის რძე“

სახის გასანაზებლად და გასათეთრებლად. „კვერცხის რძე“ არჩენს მზისაგან დამწვარ კანს, სპობს მუწუკებს, არბილებს კანს. **ფასი ყველასათვის ხელ-მისაწვდენია:** დიდი ჭიქა —2 მან., პატარა —1 მან. 50 კაპ. იყიდება ყველა საპარფიუმერო და სააფთიაქო მაღაზიაში. მთავარი საწყობი არის პეტერბურგში, პუშკინის ქუჩაზედ № 15, სადგ. 12. საწყობს განყოფილებანი აქვს ტფილისში—ერევნის მოედ. სააფთიაქო საქონლის სავაჭრო ამხანაგობაში და ბაქოში, იყიდება აგრეთვე ხიდზედ პოპოვისა და არისტაკოვის სააფთიაქო მაღაზიაში.

ქალაქ გარეთ მცხოვრებთ დაუყოვნებლივ ფოსტით გაეგზავნებათ. (100—150—37)

Дозволено цензурою. Тифлисъ 11 Ноября 1899 г.
სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა
რედაქტორ-გამომცემელი ოლღა ჭავჭავაძე